ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7412031

ნომერი: AR11080853

თარიღი : 07.03.2025

გაცემის თარიღი : 14.03.2025

გაცნობის თარიღი : 17.03.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლევან მიქელაძის ქუჩა, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით გვაძაბია პ/ნ 19001091681
- თბილისი ს. დიღომი ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქ. N 74 დამხმარე ფართი 53

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება მიქელაძის ქუჩა N4 "სელფი მობაილის" ფიჭური კავშირგაბმულობის ანტენების და აპარატურის განთავსების უფლებას .
პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფოტოსურათების მიხრედვით და აეროფოტოგადაღებაზე დაყრდნობით თქვენს მიერ მონიშნულ ადგილებზე ფიჭური კავშირგაბმულობის ანტენები და აპარატურა უკვე მოოწყობილია , რაც ასევე ირკვევა AR11077307 და AR11079387 განცხადებებზე ატვირთული დოკუმენტაციის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს განხორციელებული სამუშაოების კანონმდებლობასთან მოყვანის მიზნით , როგორც I კლასისს სამუშაოების დადასტურება , წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამართალდარღვევის აქტი და ამ აქტის საფუძველზე დაკისრებული ჯარიმის ქვითარი სამშენებლო – სამართალდარღვევის საქმეზე.

ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ ს/ს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დასკვნის მონაცემებზე დაყრდნობით ანტენების რაოდენობა მითითებულია 3 (სამი); ანტენის ტიპი: 2G2WD-21; ანტენის განლაგების სიმაღლე: 25 მ. საჭიროა ფოტომონტაჟზე აისახოს სამივე ანტენა , მიეწეროს ტიპი, ხოლო რაც შეეხება განლაგების სიმაღლეს აღნიშნული მიწერილია მხოლოდ ანტენის მოწყობილობის მეორე სართულად მოწყობილი ნაწილის ძირის ნიშნულზე , შესაბამისად საჭიროა შეიცვალოს, დაკორექტირდეს დასკვნაში ასახული სიმაღლის ნიშნულები არსებულის გათვალისწინებით;

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.